# შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№45 (9.561)

30 ნოემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


# ჩემი მიზანია, ყველა დედოფლისწყაროელს შეეხოს სასიკეთო ცვლილებები...

**მინი დოსიე:** ირაკლი შიოლაშვილი დაიბადა 1983 წლის 11 თებერვალს დედოფლისწყაროში. დაამთავრა ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლა, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2005-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შპს „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარ სამმართველოში, 2007 წლიდან 2012 წლის 28 ნოემბრამდე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

28 ნოემბერს ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი უძღვებოდა. სხდომაზე განიხილეს საკითხი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის თაობაზე. მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი თანამდებობიდან 21 ნოემბერს გადადგა. ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა 29 წლის ირაკლი შიოლაშვილის კანდიდატურა და ის ერთხმად აირჩია.

ირაკლი შიოლაშვილი პროფესიით იურისტ-ეკონომისტია და დღემდე ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა.

„საკრებულოს სხდომას 22 დეპუტატი ესწრებოდა და ირაკლი შიოლაშვილის კანდიდატურას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად სხვა კანდიდატურა არ განიხილებოდა, მხოლოდ ირაკლი შიოლაშვილის განაცხადი იყო შემოსული. 2007-2010 წლებში ის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი იყო პარტია „მრეწველებიდან“, - აღნიშნა ლევან ნატროშვილმა.

როგორც ირაკლი შიოლაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აცხადებს, მას უკვე განსაზღვრული აქვს თავისი სამომავლო საოქმედო გეგმაც და პრიორიტეტებიც, კერძოდ, მუდმივი კონტაქტი ხალხთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სამუშაო ადგილების შექმნა. „ჩემი მიზანია, თითოეულ დედოფლისწყაროელს შეეხოს სასიკეთო ცვლილებები“ - ამბობს ირაკლი შიოლაშვილი.

საკრებულომ ცნობად მიიღო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზაზა ფიროსმანაშვილის განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ზაზა ფიროსმანაშვილი ამჯერად მუშაობას სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის რანგში გააგრძელებს. ამ კომისიას ის უკვე მეორედ უხელმძღვანელებს. გადაწყვეტილება ამის შესახებ საკრებულოს წევრებმა ამავე სხდომაზე მიიღეს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტური თანამდებობა კი ვეფხია ნატროშვილმა დაიკავა, რომელიც სოფელ გამარჯვების მაჟორიტარი დეპუტატია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში.


## უნარშეზღუდულთა ხვედრი

გვ. 3

ალექსანდრე თამაზაშვილი: „დედოფლისწყარო დაჩაგრული რაიონი აღარ იქნება“ გვ. 4

ქონების დაბრუნებისთვის ბრძოლას ილო თუშიშვილიც გეგმავს

გვ. 5



ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge


C M Y K

# საყოველთაო დაზღვევა იანვრის ბოლოს დაიწყება

„2013 წლამდე სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო ფონდი შეიქმნება. 3—4 თვის განმავლობაში შეიძლება სადაზღვევო პაკეტი მცირე იყოს და ივლისის ბოლოდან უფრო ფართო პაკეტი იქნება, რასაც ჩვენ მოსახლეობას ვპირდებოდით“, — განაცხადა პრემიერ — მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

„საყოველთაო დაზღვევა იანვრის ბოლოს დაიწყება და ბიუჯეტიდან ამაზე 256 მილიონი გამოიყოფა. დღევანდელი ბიუჯეტი არის წინა ხელისუფლების დატოვებული და კონკრეტული რიცხვების და თვეების დასახელება ძალიან მიჭირს. ბიუჯეტის ოპტიმიზაციით და პრიორიტეტების შეცვლით მოვახერხებთ ჩვენი დაპირებების დიდი ნაწილის შესრულებას. ძალიან ბევრი გაუაზრებელი ხარჯი ჰქონდა წინა ხელისუფლებას. ჩვენ გავაკეთეთ ხარჯების ოპტიმიზაცია, პრიორიტეტების ცვლილება და არსებულ ბიუჯეტშივე დიდი ეკონომიის საშუალება გაჩნდა. აქტუალური გახდა ბიუჯეტის სოციალური ნაწილი“, - განაცხადა ივანიშვილმა.

# ფილიპ დიმიტროვი – იმედი მაქვს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება თანამშრომლობის გზებს გამოძებნიან

ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი იმედს გამოთქვამს, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება თანამშრომლობის გზებს გამოძებნიან.

როგორც ფილიპ დიმიტროვმა განაცხადა, რეგიონებში დაპირისპირება არ არის სასიამოვნო და რთული პროცესია.

„იმედი მაქვს, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება თანამშრომლობის გზებს გამონახავენ, მიაღწევენ კონსესუსს და დაიწყებენ თანამშრომლობას 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის“, - განაცხადა დიმიტროვმა.

# კუდ-ის კახეთის სამმართველოს უფროსი მიმალვაშია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს ყოფილი უფროსი ზურაბ ლალიაშვილი მიმალვაში იმყოფება. გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

გამოძიების ინფორმაციით, კუდ—ის კახეთის სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ დავით ლორთქიფანიძემ თავის ყოფილ უფროს ზურაბ ლალიაშვილთან ერთად სოფელ წინანდალში მცხოვრებ ალექსანდრე მეგუთნიშვილზე სხვადასხვა სახის ზეწოლა განახორციელა, რის შედეგადაც მეგუთნიშვილმა 2011 წლის მარტში შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ერთი „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200“ და ორი „ტოიოტა კამრი“ შეუძინა. აღნიშნული დანაშაული 5 დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შსს კახეთის მთავარი სამმართველოს და საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დავით ლორთქიფანიძე უკვე დააკავეს. დავით ლორთქიფანიძე შს მინისტრის ყოფილი მოადგილის გია ლორთქიფანიძის ძმაა.

ზურაბ ლალიაშვილის სახელი უკავშირდება „ქართული ოცნების“ ლაგოდეხის შტაბის წევრის ზვიად ხვედელიძის დაპატიმრებას.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ხვედელიძე თბილისის აეროპორტში 2 დღის წინ დააკავეს. ხვედელიძე საქართველოში ბელორუსიიდან დაბრუნდა. მას შინაგან საქმეთა სამინისტრო ეძებდა. ზვიად ხვედელიძე საქართველოდან 10 თვის განმავლობაში გაქცეული იყო. მისი თქმით, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს უფროსი ზურაბ ლალიაშვილი წინასაარჩევნოდ აგენტობას აიძულებდა. საქართველოდან წასვლის შემდეგ გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალი ქალის გაუპატიურების მცდელობაში დასდო, გურჯაანის სასამართლომ კი 2012 წლის 12 იანვარს, დაუსწრებლად, 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ხვედელიძის საქმეზე ჟურნალისტური გამოძიება კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ჩაატარა. ცენტრის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ხვედელიძე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ დაგებულ მახეში გაება. მას ბრალად გაუპატიურების მცდელობა წაუყენეს, დაზარალებულად ცნობილი ქალბატონი კი პრეზიდენტის მიერ შეწყალებული პატიმარია, რომელიც კუდ—თან თანამშრომლობდა.

# ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად საგარეჯოში 2 ადამიანი დაიღუპა, 6 მძიმედ დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა საგარეჯოში. სამგზავრო მიკროავტობუსი „ჯიპის“ მარკის ავტომანქანას შეეჯახა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ 2 მგზავრი ადგილზე დაიღუპა, 6 კი მძიმედ დაშავდა.

„საავადმყოფოში ავარიის შედეგად დაშავებული 6 პაციენტი შემოიყვანეს. ერთ—ერთი მათგანის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, მას სასწრაფო ოპერაცია უტარდება. დაშავებულ მამაკაცს დაზიანებული აქვს ელენთა, ღვიძლი, მსხვილი ნაწლავი და დამტვრეული აქვს ნეკნები. მძიმეა ახალგზარდა ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობაც, მას ამჟამად გამოკვლევა უტარდება და შესაძლოა, ოპერაცია მასაც დასჭირდეს. დანარჩენ პაციენტებს სხვადასხვა მრავლობითი ტრავმები აქვთ მიღებული. მათ აღენიშნებათ კიდურების მოტეხილობები, სხეულის დაჟეჟილობები, ქალა—ტვინის ტრავმები და სახის არეში ექსკორაციები. არ გამოვრიცხავ, რომ დაშავებულები კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადებმა თბილისში გადაიყვანონ“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს საგარეჯოს საავადმყოფოს დირექტორმა დავით ლალიაშვილმა.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას საპატრულო პოლიცია აწარმოებს.

# ღვინის რუსეთში დაბრუნებაზე მოლაპარაკებები იწყება

ქართული მხარე რუსეთთან ქართული ღვინის დაბრუნების შესახებ მოლაპარაკებებს უახლოეს მომავალში დაიწყებს

ქართული მხარე რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რუსეთთან მოლაპარაკებების დასაწყებად მზადაა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნულ მოლაპარაკებებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირადი წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხში, ზურაბ აბაშიძე გამართავს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის განცხადებით, ამ საკითხის გარშემო დეტალური მოლაპარაკება რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს.

,,ეს მოლაპარაკება შეიძლება გაგრძელდეს ერთი ორი ან სამი თვე, მაგრამ ყველაფერი კარგად, შესაბამისი გარანტიებით უნდა გაკეთდეს. ისე რომ, თუ დაიწყება ეს პროცესი, იყოს შეუქცევადი”-აღნიშნავს კირვალიძე.

ქართული მხარე დათანხმდა რუსული მხარის მოთხოვნასაც, რომელიც ქართული ღვინის ადგილზე შემოწმებას გულისხმობდა.

შეგახსენებთ, რომ დღეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ანდრეი დენისოვმა განაცხადა, რომ რუსეთი და საქართველო მზად არიან რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხის პრაქტიკულ მოგვარების ეტაპზე გადავიდნენ.

შეგახსენებთ, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანა 2006 წელს აიკრძალა. ამის ოფიციალურ მიზეზად ქართული პროდუქციის დაბალი ხარისხი დასახელდა.

# ირაკლი ღარიბაშვილი დედოფლისწყაროს ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა პოლიციის რაიონული სამმართველოების პირადი შემადგენლობების გაცნობა კახეთის რეგიონიდან დაიწყო. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ყვარლისა და საგარეჯოს რაიონულ სამმართველოებში იმყოფებოდა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მისი სურვილი იყო სამმართველოების ახალ ხელმძღვანელებს და შემადგენლობას ადგილზე პირადად გაცნობოდა. მისი განმარტებით, უახლოეს 10 დღეში მსგავსი ვიზიტები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც არის დაგეგმილი.

„რაიონებში პოლიციის სამმართველოების მონახულება გადავწყვიტე, მინდოდა თითოეული სამმართველოს ხელმძრვანელი გამეცნო. ძალიან კარგი განწყობა არის. გავეცანი რაიონებში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებას და მივიღე ინფორმაცია, რომ ძალზე დამაკმაყოფილებელი კრიმინოგენური ვითარებაა. გავამხნევე ისინი და ძალიან კარგი შემართება აქვთ. ვფიქრობ, რომ ახალმა კადრებმა კარგად გაართვეს თავი... მინდა გითხრათ, რომ ძირითადი საკადრო ცვლილებები უკვე დასრულდა. კმაყოფილი ვარ ამ გუნდით. დაველოდოთ მოვლენებს, ძალიან საინტერესო ცხოვრება გველის,“ - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრმა ასევე განმარტა, რომ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტთან გაერთიანდა. „მძლავრი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი მივიღეთ,“ - განაცხადა მინისტრმა.

მანვე დედოფლისწყაროში სტუმრობისას ჟურნალისტებთან მის წინამორბედზეც ისაუბრა. ღარიბაშვილის განცხადებით, ვანო მერაბიშვილის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების საკითხი გამოიკვეთა. როგორც მინისტრმა განმარტა, მერაბიშვილის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასალები პროკურატურას გადასცა და საქმის გამოძიებას მსვლელობა მიეცემა.

ილია მარტყოფლიშვილი

# შეხვედრა დედოფლისწყაროში საძოვრების მდგრადი მართვის თემაზე

22 ნოემბერს, დედოფლისწყაროში, CENN-მა ჩაატარა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკვები სავარგულების გაუმჯობესებისათვის შემუშავებული ღონისძიებების წარდგენა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის ექსპერტებმა, თემებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა და მცირე ფერმერებმა.

განხილულ იქნა USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის — კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (CCADM), ფარგლებში მომზადებული დედფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საძოვრების მოვლის რეკომენდაციები და შესაბამისი ანგარიში.

მონაწილეებს გადაეცათ ადგილობრივ ფერმერთათვის შემუშავებული საძოვრების გამოყენების მოკლე გზამკვლევი.

# უნარშეზღუდულთა ხვედრი

3 დეკემბერს მთელი მსოფლიო გაეროს მიერ დაწესებულ უნარშეზღუდული შესაძლებლობების პირთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

3 დეკემბერი ინვალიდთა საერთაშორისო დღედ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1992 წელს გამოაცხადა. ინვალიდებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები გაერომ 1993 წლის 30 ოქტომბრის რეზოლუციაში ასახა. მოგვიანებით - კერძოდ, 1995 წელს - საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთათვის სპეციალური კანონიც ამოქმედდა, თუმცა, ამ ფაქტორს მათ ბედზე დადებითი გავლენა არ მოუხდენია.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ოფიციალურად 182 ათასზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანია, რომელთა დიდი ნაწილი დაუსაქმებელია და მათი მიზანი საარსებო წყაროს პოვნაა.

გოჩა სისაური დედოფლისწყაროელია. ის ჯერ სრულიად ახალგაზრდაა-45 წლის, თუმცა დიაგნოზი საკმაოდ მძიმე აქვს, გაფანტული სკლეროზი. ყოფილი სპორტსმენი უკვე სამი წელია, გარესამყაროს მოწყვეტილია, რადგან გადაადგილება უჭირს. მისი ყოველთვიური პენსია 70 ლარს შეადგენს, რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს, აქვს, მაგრამ, პრაქტიკულად, ვერაფერში იყენებს. „ენცეფალოგრამა დასჭირდა და პოლისმა ვერ დააფინანსა, ახლობლებისა და მეგობრების დახმარებით ფული შევაგროვეთ და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი გადაღება. ხშირად წამლის ფულიც არ გვაქვს- სამი თვეა, გოჩას წამალი არ მიუღია და ამის „წყალობით“ ოთახიდან-ოთახში გადაადგილება უჭირს“- ამბობს ჩვენთან საუბარში მისი მეუღლე მანანა ტოკლიკიშვილი.

გოჩას და მანანას დიდი ხნის სიყვარული დაოჯახებით დასრულდა. ვაჟის დიაგნოზს და, აქედან გამომდინარე, შესაძლო პერსპექტივას, რომ უნარშეზღუდული გამხდარიყო, მანანასთვის ხელისშემშლელ ფაქტორად არ იქცა. როგორც იტყვიან, სიყვარულმა გაიმარჯვა. მათ ორი ვაჟი ჰყავთ, საკმაოდ ნიჭიერი ბავშვები. სკოლაშიც კარგად სწავლობენ და კარგი მუსიკალური მონაცემებითაც გამოირჩევიან. ორი წლის მანძილზე სამუსიკო სკოლის გადასახადს ლადო ათანელის ფონდი უფინანსებდა, თუმცა ფულადი რესურსის ამოწურვის შემდეგ გადასახადის გადახდა კვლავ ოჯახს უწევს. ოჯახის შემოსავალი კი საკმაოდ მწირია: მანანა მუსიკის პედაგოგია და სკოლაში მუშაობს, მისი ანაზღაურება მიზერულია, დაახლოებით, ასი ლარი. უნარშეზღუდულის პენსია და მისი ხელფასი ბევრში არაფერში ყოფნით. „ხშირად წინასწარ გამომაქვს პენსია, რომ ბავშვებისთვის რაიმეს ყიდვა შევძლოთ. ხდება, რომ ვერ ვახერხებ ელექტროენერგიის და გაზის გადასახადის გადახდას, სამწუხაროდ, ჩვენს მდგომარეობას არავინ ითვალისწინებს და ბევრჯერ დავრჩენილვართ მათ გარეშეც. ამ პრობლემის გადასაჭრელად კვლავ ახლობლებს ვაწუხებ, ჩემს პენსიონერ მშობლებსაც და მხოლოდ მათი დახმარებით ვახერხებთ აქამდე არსებობას...“-თავის გულისტკივილს გვიზიარებს ქალბატონი მანანა.

გოჩა სისაურმა წლების წინ რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად დააფუძნა უნარშეზღუდულთა საზოგადოება დედოფლისწყაროში. მისი ხელმძღვანელიც თავად იყო. გოჩა გვიყვება, როგორ გახსნა ანგარიში უნარშეზღუდულთა დახმარების მიზნით, რომელშიც მაშინდელი ადგილობრივი ხელმძღვანელობაც დაეხმარა, მაგრამ შემოწირულობისგან თავი ყველა ბიზნესმენმა შეიკავა და ანგარიშიც დაიხურა. შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუარესდა და სხვების ბედზე ზრუნვა ვეღარ შეძლო. გოჩას ინფორმაციით, დედოფლისწყაროში 1000-ზე მეტი უნარშეზღუდული ადამიანი ცხოვრობს. მისი აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს საქართველოში უკიდურესად უჭირთ. ისინი დაუფარავად აღიარებენ, რომ სოციალური გაჭირვების გარდა, სოციალური დისკრიმინაციის ზღვარზეც იმყოფებიან.



## "არ მინდა, მხოლოდ ტვირთი ვიყო საყვარელი ადამიანებისთვის"...

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს თანადგომას უცხადებს და ხელისუფლებას მოუწოდებს, ინვალიდებისთვის შექმნას პირობები სოციალურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩასართავად. "აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება საკმარის ყურადღებას არ უთმობს უნარშეზღუდულ პირებზე ზრუნვას. გარდა ამისა, ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს სამართლებრივი ზეწოლა დამსაქმებლებზე, რათა მოხდეს შენობების აღჭურვა სპეციალური ასასვლელებით, საპირფარეშოებით თუ ტექნიკით" - აცხადებენ პროფკავშირებში.გოჩა სისაური იზიარებს პროფკავშირების აზრს და დასძენს, „ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზეც, რომ გაიზარდოს პენსიის ოდენობა, ამოქმედდეს სამედიცინო დაზღვევა და მოხდეს უნარშეზღუდულთა დასაქმება“.

ხშირ შემთხვევაში ადამიანებმა არ იციან, რა პრობლემებს აწყდებიან უნარშეზღუდულები ცხოვრების მანძილზე და რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, რომ მოხდეს მათი ხვედრის შემსუბუქება. უნარშეზღუდული ადამიანები თვითონ საუბრობენ იმაზე, რა სჭირდებათ ყველაზე მეტადეს თანადგომა და ყურადღებაა საზოგადოების მხრიდან. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ერთმა უბედურმა შემთხვევამ შესაძლოა, ნებისმიერი ჩვენგანი ინვალიდის სავარძელს მიაჯაჭვოს, ამიტომ მანამდე უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მოვახდინოთ მობილიზაცია უნარშეზღუდულ პირთა ღირსების, უფლებებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ხელი შევუწყოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომ მოხდეს მათი სრულფასოვანი ინტეგრირება საზოგადოებაში და არასოდეს შეაწუხოს ისინი უფუნქციობის გრძნობამ და ამქვეყნიდან წასვლის სურვილმა, როგორც ჩვენი რესპოდენტი:

„ხშირად ვფიქრობ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ თავი სრულფასოვან ადამიანად ვიგრძნო. ზოგჯერ მგონია, რომ ყველა გზა მოჭრილი მაქვს. ადრე გათენება მიხაროდა, რადგან უამრავი საქმის კეთება შემეძლო, ახლა კი დაღამებას ველოდები, ჩემს ნაჯუჯში რომ ჩავიკეტო... ძალიან მორწმუნე ვარ, მაგრამ როდესაც ვხედავ, ჩემს ოჯახს ვერაფრით ვეხმარები, პესიმიზმი მეძალება და თავის მოკვლის სურვილი მიჩნდება... არ მინდა, მხოლოდ ტვირთი ვიყო ადამიანებისთვის, ვინც ასე მიყვარს“...

ინგა შიოლაშვილი

# ბიძინა ივანიშვილი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მაქსიმალური ზრუნვა ესაჭიროება მთავრობის მხრიდან

**ბიძინა ივანიშვილი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მაქსიმალური ზრუნვა ესაჭიროება მთავრობის მხრიდან.**

მთავრობის მოვალეობაა, რომ მაქსიმალურად იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებზე, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს გამართულ კონფერენციაზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

„ჩვენი სახელმწიფოს შესაძლებლობიდან გამომდინარე, დახმარება ექნებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებს და ეს დახმარება გაგრძელდება და უფრო გაღრმავდება“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები — არსებული სიტუაცია და ახალი გამოწვევები“ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული პოლიტიკა და განხორციელებული პროგრამები შეაჯამეს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სოციალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტების პრეზენტაცია და პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს.

კონფერენციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილის გარდა ესწრებოდნენ აშშ-ს სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნოლანდი, ასევე, საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიმპლომატიური კორპუსის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი მედია საშუალებების წარმომადგენლები.

კონფერენცია გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირება“ ფარგლებში, რომელსაც კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ახორციელებს.

# ოზაანელები გაზის ტარიფის დროულად გათანაბრებას ითხოვენ

მას შემდეგ, რაც სოფელ ოზაანში ბუნებრივი აირის მიწოდება აღდგა, არავინ მოიფიქრებდა თუ ეს ამბავი ზოგიერთი მოსახლისთვის პრობლემატური გახდებოდა. პრობლემა კი იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი აბონენტისთვის მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის სტანდარტულ გადასახადს 50 თეთრს, კიდევ ათი თეთრი ემატებოდა. რატომ ხდებოდა ისე, რომ სოფლის ერთი ნაწილი მოხმარებულ ბუნებრივ აირზე 50 თეთრს იხდიდა, ხოლო მეორე ნაწილი 60 თეთრს. ეს ამბავი მოსახლეობის აღშფოთების მიზეზი წლებია გახლდათ, თუმცა სამართალს ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე ვერასდროს პოულობდნენ. - „უკვე ორი წელია, ჩვენს სოფელში ბუნებრივი აირი აღდგა, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი რჩებოდა ყოველთვის, რატომ იხდიდა ერთი მოსახლე 50 თეთრს და მის მეზობლად მცხოვრები 60 თეთრს. ამ დაუბალანსებლობას ამგვარად ხსნიდნენ, რომ თითქოს ვინც ახალ მაგისტრალზე იჯდა, მას 60 თეთრი ეკუთვნოდა, ხოლო ვინც ძველ მაგისტრალზე 50 თეთრი, ვფიქრობთ, რომ აბონენტთა ამგვარი გარჩევა სერიოზული დარღვევა და უსამართლობა იყო. როგორ შეიძლება ერთ სოფელში სხვადასხვა უბანში სხადასხვა ტარიფები მოქმედებდეს?! რა მნიშვნელობა აქვს მაგისტრალის სიახლეს, ჩვენი ბრალი ხომ არ იყო, რომ ნახევარ სოფელს დაგვიანებით აღგვიდგინეს მაგისტრალი?!“ - აცხადებს ოზაანის მოსახლეობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ დედოფლისწყაროს რაიგაზის დირექტორის მოადგილეს ლერი ხატიაშვილს, რომელმაც გვიპასუხა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს გაზის ტარიფების გათანაბრება.- „ეს გაუგებრობა „სემეკის“ დადგენილებამ გამოიწვია, რომლის ბრძანებულების საფუძველზე 2010 წლის მაისიდან აბონენტი, რომელიც ახალ მაგისტრალზე დაჯდებოდა 60 თეთრი უნდა გადაეხადა. ამგვარი მდგომარეობა არამარტო სოფელ ოზაანში, რაიონის მასშტაბით თითქმის ყველა სოფელშია დაფიქსირებული, ამჟამად მიმდინარეობს გასწორება და ტარიფის 50 თეთრთან გათანაბრება.“-აღნიშნა ხატიაშვილმა.

ამჟამად შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში აქტიურად განიხილება საკითხი გაზის ტარიფის დაწევის შესახებ. თუ ეს რეალურად შესაძლებელი გახდა, მოსახლეობა მართლაც მნიშვნელოვან შეღავათს იგრძნობს, განსაუთრებით კი ისინი, ვინც აქამდე 60 თეთრიანი ტარიფის გადახდით ზარალდებოდნენ.

ლალი მეხრიშვილი

# ალექსანდრე თამაზაშვილი: „დედოფლისწყარო დაჩაგრული რაიონი აღარ იქნება“

***მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე თამაზაშვილი პარლამენტში დედოფლისწყაროს მაჟორიტარის მანდატით არ მოხვდა, ის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს კვლავაც გეგმავს... პარლამენტარის პირველი მიმართვა დედოფლისწყაროელებს, სამომავლო გეგმები და დაპირებები თანარაიონელებს.***

პარლამენტის რომელ კომიტეტში განაგრძობს საქმიანობას ალექსანდრე თამაზაშვილი, რატომ სურს აგრარულ კომიტეტში მუშაობა და რატომ არის დარწმუნებული, რომ დედოფლისწყარო დაჩაგრული რაიონი აღარ იქნება.

როგორ აფასებს პარლამენტის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი დედოფლისწყაროში საკრებულოს თავმჯდომარის, გამგებლის და გამგებლის მოადგილის გადადგომას, რა კომენტარს აკეთებს ლევან ბაღაშვილისა და ნიკოლოზ შანშიაშვილის მიერ განცხადებების დაწერის თაობაზე და რა შეფასებას აძლევს ხელისუფლების გადაბარების პროცესის დაწყებას დედოფლისწყაროში.

როგორ გეგმავს სამართლიანობის აღდგენას მიწის გადასახადსა და უკანონო ჩამორთმევებთან დაკავშირებით, ამას ექსკლუზიური ინტერვიუდან შეიტყობთ.

ალექსანდრე თამაზაშვილი: „მე პირველ რიგში დედოფლისწყაროელი ვარ და ის გულისტკივილი, რაც წინასაარჩევნო შეხვედრების დროს ადგილობრივი მოსახლეობისგან მრავლად მოვისმინე, ყველანაირად ვეცდები, რომ ბოლომდე ჩემი რაიონის გვერდით ვიყო და დედოფლისწყაროშიც განხორციელდეს ყველა ის სიკეთე, რაც მთელს ქვეყანაში იგეგმება. მით უფრო, რომ თითეულ ამომრჩეველს გულიდან ამოსული სიტყვები ვუთხარი. მე მხოლოდ პარლამენტის წევრი ვარ და ჩემი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმუმს გავაკეთებ და ყველაფერს გავაკონტროლებ, რომ დედოფლისწყარო არ დაიჩაგროს. მინდა თითოეული დედოფლისწყაროელი დავარწმუნო, რომ ჩვენი რაიონი ხელისუფლებისგან უყურადღებოდ მიტოვებული და დაჩაგრული აღარ იქნება. რაც მთელს ქვეყანაში გაკეთდება, ის გაკეთდება დედოფლისწყაროშიც. ჩამორჩენილები ნამდვილად აღარ ვიქნებით.

***– მაჟორიტარი დეპუტატისგან განსხვავებით, ალბათ, დედოფლისწყაროში დეპუტატის ბიურო არ გექნებათ. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივებს პარლამენტართან შეხვედრის სურვილი ექნებათ, სად შეძლებენ ამას?***

– მოგეხსენებათ, ქუთაისში ვიმყოფებით და მოსახლეობის იქ ჩასვლა და შეხვედრები ალბათ რთული იქნება. თუმცა, მე ბიურო არც მჭირდება, რადგან პირდაპირ ხალხთან ხშირად მაქვს შეხვედრები. ჩვენს შტაბში გაგრძელდება შეხვედრები თუ სად შევხვდები მოქალაქეებს, ეს საკითხი როგორ დარეგულირდება ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, ის კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბევრისგან განსხვავებით, ყველა გაჭირვებულ ოჯახში ვარ ნამყოფი და ყველას პრობლემა ვიცი. როგორც შევძლებ და დედოფლისწყაროში ჩამოსვლას რამდენჯერაც შევძლებ, ადგილობრივებს იმ სიხშირით შევხვდები... რეალური მონახაზი უკვე მაქვს ჩვენს რაიონს რა სჭირდება!... ამას გარდა, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატიც ჰყავს და ხალხს ისიც მოუსმენს...

***– ახალი გამგებლის კანდიდატურაზე რა შეფასება შეგიძლიათ გააკეთოთ?...***

– ჩემთვის პირადად ყველანაირად მისაღები პიროვნებაა, იმიტომ რომ ძალიან განათლებულია, წარმატებული პიროვნებაა და რაც მთავარია, დედოფლისწყაროელია. მას ძალიან დიდ პატივს ვცემ და მის კანდიდატურას ნამდვილად მივესალმები. ვინც ამ ადამიანს იცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ საუკეთესო კანდიდატურაა. თავისი შრომით აქვს მიღწეული წარმატებებისთვის. სხვათაშორის, გაცილებით მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ არჩია, რომ მისი გამოცდილება დედოფლისწყაროს მოახმაროს და მშობლიურ რაიონს სიკეთე გაუკეთოს. ერთხელ და სამუდამოდ ჩვენი რაიონი რომ ისეთს დაემსგავსოს, რასაც ის იმსახურებს და რისი ღირსიც არის, ირაკლი შიოლაშვილი მზადაა დედოფლისწყაროს კეთილდღეობისთვის მუშაობაში ჩაერთოს. მისი ამ ნაბიჯით ნათლად გამოჩნდა, რომ ის კარიერაზე არ ფიქრობს... ის ერთ-ერთი წარმატებული დედოფლისწყაროელია, რომელმაც ბევრს მიაღწია. ისიც გმირული ნაბიჯია, რომ თბილისში სამსახური დატოვა და დედოფლისწყაროში ჩამოვიდა.

***– თუმცა, „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს შტაბის ხელმძღვანელი ნუგზარ პაპიაშვილიც განიხილებოდა გამგებლის პოსტზე ერთ-ერთ რეალურ კანდიდატურად და ის ჩვენთან საუბარში ადასტურებდა, რომ ამ საკითხზე ფიქრობდა... რატომ გამოირიცხა მისი კანდიდატურა?***

– როგორც ვიცი, მას სურვილი არ ჰქონდა, ალბათ განათლების კუთხით წავა... ის განათლების მუშაკია და სავარაუდოდ, ამ სფეროში იმუშავებს...

***– დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ერთმანეთის თანმიმდევრულად გადადგნენ. როგორ შეაფასებთ ამ ნაბიჯს?***

- როდესაც ხალხი აღარ გირჩევს და ამომრჩეველთა დიდი ნაწილი უნდობლობას გიცხადებს, ამ ფონზე, ალბათ სწორი გადაწყვეტილებაა, რომ გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე დედოფლისწყაროშიც გადადგნენ. როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ჭკვიანური გადაწყვეტილებაა და მე მათ ნაბიჯს მივესალმები.

***– რაც შეეხება ახალ საკრებულოს თავმჯდომარეს, ის ღიად აცხადებს, რომ ახალ ხელისუფლებასთან ითანამშრომლებს. რამდენად ენდობა ქართული ოცნება ლევან ნატროშვილის კანდიდატურას?***

– დეტალები არ ვიცი. რაიონის მასშტაბით არჩეულნი არიან დეპუტატები, რომლებმაც თავმჯდომარედ ლევან ნატროშვილი აირჩიეს. ალბათ, აირჩიეს ის, ვინც მათ სურდათ... ვფიქრობ, ახალი სისხლი იყო საჭირო, რომ ჩვენს ქვეყანაში რა სიახლეებიც არის, ყველაფერი ის ჩვენს რაიონსაც შეეხოს. როგორც ჩანს, ისინიც ფიქრობენ, თავისი რაიონი უყვართ და დედოფლისწყაროზე ზრუნავენ და ამიტომაც მოხდა ასე...

***– დედოფლისწყაროს არჩევნების შედეგების სისწორეს პროკურატურა სწავლობს. ამის თაობაზე რა ინფორმაციას ფლობთ?***

– მართლა არაფერი ვიცი, თუმცა ჩემთვის ცნობილია, რომ ამ ფაქტზე რამდენიმე მოწმე უკვე დაიკითხა. კონკრეტულად რა მსვლელობა მიეცემა, ან დადგება თუ არა ზაზა კედელაშვილის გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ, არ ვიცი.

***– რომელ საპარლამენტო კომიტეტში იმუშავებთ?***

– უკვე ამირჩიეს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომრის მოადგილედ. ასევე ვაპირებ რიგით წევრად ვიმუშაო აგრარულ საკითხთა კომიტეტშიც. იქიდან გამომდინარე, რომ მე დედოფლისწყაროდან ვარ და ამ რაიონს სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ გვერდით დგომა განსაკუთრებით სჭირდება. ვიცით, რომ თუ დედოფლისწყაროში აგრარული სფერო არ დალაგდა და განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციეთ, ისე არაფერი გამოვა. მინდა, რომ დედოფლისწყაროელების ტკივილი გავიზიარო მიწის გადასახადსა და ასევე მიწის ნაკვეთების უკანონო ჩამორთმევასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ მინდა, რომ ამ საკითხში სამართლიანობა აღდგეს და აგრარულ კომიტეტშიც რიგით წევრად ვიყო, რომ რითიც შევძლებ დედოფლისწყაროს ყველანაირად დავეხმარო.

ილია მარტყოფლიშვილი

# ის ყველას ემუქრება...

მართალია, მსოფლიო სტატისტიკით საქართველო მიეკუთვნება აივ ინფექცია/შიდსის დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ამ ქვეყნებს შორისაც ერთ-ერთი ყველაზე ბოლო ადგილი უკავია, მაგრამ, მეორეს მხრივ, შიდსის ეპიდემიის კანონზომიერებიდან გამომდინარე, აივ ინფექცია/შიდსის რეგისტრირებული შემთხვევების უკან დგას დაახლოებით 4000-მდე არარეგისტრირებული შემთხვევა. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, უკვე საკმაოდ სოლიდური რიცხვია.




რამდენიმე წლის წინ უცხოელი ექსპერტები ქვეყანაში არსებული ფაქტორების გათვალისწინებით გვაფრთხილებდნენ, რომ საქართველოს შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემია ემუქრებოდა. ეს განგაში განსაკუთრებით გაძლიერდა უკრაინასა და რუსეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, სადაც ფაქტიურად ერთ წელიწადში აივ ინფექცია/შიდსის შემთხვევების რაოდენობამ ორჯერ და მეტად მოიმატა. უცხოელი ექსპერტების პროგნოზი არ ეფუძნებოდა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ვითარების საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ქვეყნებზე შესაძლო გავლენის ანალიზზე. ასეთი განცხადებების საფუძველს ქვეყნის შიგნით მოქმედი მთელი რიგი ფაქტორებიც იძლეოდა, კერძოდ,

შიდსის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში:

ნარკომანიის ფართო გავრცელებასაქართველოს მეზობელ ქვეყნებში შიდსის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობა

მოსახლეობის მზარდი მიგრაცია და ფართო მასშტაბის კონტაქტები

ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების, სადენზინფექციო და სასტერილიზაციო საშუალებათა ნაკლებობა

სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი უნარ-ჩვევები ინფექციათა გადაცემის პროფილაქტიკის საკითხებთან დაკავშირებით

პრეზერვატივებზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება

შიდსის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე

აღნიშნულის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ საქართველოში შიდსის ეპიდემია ახლა იწყებს ძალების მოკრეფას!

2012 წლის ნოემბრის მონაცემებით საქართველოში შიდსის ვირუსით ინფიცირების 3588 შემთხვევაა რეგისტრირებული. მათგან 2630 მამაკაცია, 958 — ქალი. შიდსით საქრთველოში უკვე გარდაიცვალა 779 ადამიანი.

„არ არსებობს საჭმელი ხორცის გარდა, არ არსებობს სასმელი ღვინის გარდა, არ არსებობს სიხარული ქალის გარდა“, - ეს ქართული ანდაზა არ გეგონოთ, შუა საუკუნეების ევროპელების ცხოვრების კრედოა, თუმცა კი ბევრი ქართველი დღესაც ამ პრინციპებით ცხოვრობს. ჯერ ბატონო ჩვენია ჩაქაფული, ხაშლამა ღვინის უზომოდ სმა და კვირაში რამდენიმე დღე ქეიფის მავნე ჩვევა. ინფარქტი, ინსულტი, სიმსუქნე და ჰიპოდინამიაც ჩვენია. კიდევ რითი ვართ ქართველები დაწინაურებულები ევროპაში? ნარკომანიით, თამბაქოს მოხმარებით, ავტოსაგზაო შემთხვევებით...

საქართველოში, სადაც საზოგადოება „ოჯახის გარეთ გასეირნებას“ მამაკაცს დიდ ცოდვად არ უთვლის, შიდსის ოჯახში შეტანის ანუ მეუღლის დაავადების საფრთხე ძალზე დიდია. შიდსით დაავადებული, საქართველოში მცხოვრები ქალების 2% სწორედ ამ გზითაა დასნებოვნებული.

ცოტა უხერხული სათქმელია, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს — საქართველოში შიდსით ინფიცირებული 3588 ადამიანიდან 4% ჰომოსექსუალური გზითაა დასნეულებული.

დაავადებულთა 53% პროცენტი — ინტრავენური ნარკომანია.

აი, ესაა მწარე რეალობა.

შიდსი მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების კაცობრიობის შავი ჭირია. ის ყველას ემუქრება. ნუ მისცემ ამ საშინელებას შენი დაავადების შანსს.

მიხეილ მლეგრიშვილი

P.S. ***შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა წელს დედოფლისწყაროშიც განსაკუთრებულად იგეგმება. სხვა წლებისგან განსხვავებით, წელს, 1 დეკემბრის აღსანიშნავად დედოფლისწყაროელი მოზარდები უკვე რამდენიმე თვეა ემზადებიან. ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ორგანიზებით ჩვენს ქალაქში მასშტაბური მარათონი გაიმართება.***

# ქონების დაბრუნებისთვის ბრძოლას ილო თუშიშვილიც გეგმავს

***საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საქართველოში ქონების დაბრუნების თაობაზე ბრძოლის დაწყების მოტივაცია არაერთ ადამიანს გაუჩნდა. ისინი ამის თაობაზე ღიად საუბრობენ და ბრძოლის დაწყებას გეგმავენ. მათი განმარტებით, ამ დრომდე სამართლებრივ ბრძოლას და ხმის ამოღებას აზრი არ ჰქონდა, თუმცა მიიჩნევენ, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტების შემდეგ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის განცდამ დაისადგურა. მედიასაშუალებებით ყოველდღიურად ვრცელდება საჯარო განცხადებები ამა თუ იმ ადამიანის მიერ ქონების დაბრუნების თაობაზე. მათ შორისაა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის ღვინის ქარხნის მეპატრონე ილია თუშიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ ქვეყნის დატოვება იძულებით მოუხდა და წინა ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის მსხვერპლია.***

სოფელ ქვემო ქედის ღვინის ქარხანა, მისი დემონტაჟის, მოსახლეობისთვის აუნაზღაურებელი ყურძნის საფასურისა და სკანდალური განცხადებების წყალობით ქართულ ტელე თუ ბეჭდვურ სივრცეში აჟიოტაჟის საბაბი დიდხანს ხდებოდა. თავის მხრივ სამართლიანობის აღდგენას და მათი კუთვნილი თანხების ანაზღაურებას მერამდენე წელია უშედეგოდ ელიან. რამდენიმე ადგილობრივ მევენახეს თუშიშვილის ქარხანაში ჩაბარებული ყურძნის საფასური ათიათასობით ლარის ოდენობით, ამ დრომდე მისაღები აქვს. ქარხანამ მოსახლეობის ყურძენი მიიღო, მისი რეალიზება და ხარჯების დაფარვა კი ვერ შეძლო. პროცესი უსაშველოდ გაიწელა, ხელისუფლებაც განზე გადგა, შედეგად კი სოფელიც დაზარალდა და იქ მოქმედი ქარხანაც განადგურდა. სამთაწყაროსა და ფიროსმანში მცხოვრები დაზარალებული მოსახლეობა ერთმანეთს და ღვინის ქარხნის მეპატრონეს დაუპირისპირდა.

საფრანგეთში გადახვეწილი სოფელ ქვემო ქედის ღვინის ქარხნის მეპატრონე ილო თუშიშვილი გაზეთ „შირაქთან“ სკანდალურ განცხადებებს სტრასბურგიდან აკეთებს. ის ექსკლუზიურად გვიმხელს, რომ მისი ქონება აუქციონზე ისე გაყიდეს, მისთვის არაფერი უცნობებიათ. ილო თუშიშვილი თავს დაზარალებულად მიიჩნევს, ამბობს, რომ იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. ის ქართულ ძალოვან უწყებებს უმოქმედობაშიც ადანაშაულებს და საქმის გასაჩივრებას აპირებს. ღვინის ქარხნის მეპატრონეს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ქონების დაბრუნების იმედი აქვს.

ILO TUSHISHVILI: „ამჟამად საფრანგეთში ვარ, სტრასბურგში ვიმყოფები... ნაციონალურმა მოძრაობამ და სააკაშვილის ხელისუფლებამ ფაქტობრივად იძულებული გამხადა, ქვეყნიდან წამოვსულიყავი. მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროში, ქვემო ქედის ღვინის ქარხნის მეპატრონე ვიყავი. რამდენიმე წლის წინ, ფაქტობრივად სააკაშვილის მთავრობამ და ბანკმა მწარედ მომატყუეს, რის გამოც სხვა გზა არ დამრჩა და აქ გადმოვიხვეწე. დღესაც ანგრევენ ჩემს ქარხანას. კატეგორიულად ვითხოვდი აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე, რადგან მე არანაირი ვალი არ მქონდა!...

> „ღვინის ქარხანა აუქციონზე ისე გაყიდეს, არც კი გამაგებინეს. ბანკის ვალი პროცენტებისა და ჯარიმების ჩათვლით გადახდილი მაქვს, ბანკმა კი 1,5 მლნ ლარი ზედმეტად წაიღო“

***– საქმის აღძვრისა და გამოძიების დაწყების მოთხოვნით წერილობით მიმართეთ სამართალდამცავ ორგანოებს?***

– ცხადია მივმართე. განცხადებები შევიტანე დედოფლისწყაროს პოლიციაში და პროკურატურაში. ამის მონმეა მთელი სამთაწყაროს, ფიროსმანისა და ქედების მოსახლეობა. საქმეს კი მაინც არავინ იძიებს და ხელს უწყობდნენ უსამართლობის ზეიმს. საპარლამენტო არჩევნებამდე და ნაციონალური მოძრაობის დამარცხებამდე ახლობლებმა გამაფრთხილეს კიდეც, რომ თუ საქართველოში ჩამოვიდოდი დაპატიმრებას მიპირებდნენ...

***– ბატონო ილია, არაერთი ვერსია ვრცელდებოდა და დედოფლისწყაროში რამდენჯერმე გავრცელდა ხმები, რომ საქართველო დატოვეთ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ისევ საქართველოში იმყოფებოდით, სინამდვილეში როდის დატოვეთ ქვეყანა?***

– საქართველოდან 2011 წლის იანვარში გამოვაღწიე... შემდეგ კი გავიგე, რომ აუქციონზე გაუყიდიათ ქარხანაში ყველაფერი, ისე, რომ მის მეპატრონეს (ანუ, მე) არაფერი გამაგებინეს... წარმოგიდგენიათ ასეთი მიდგომა?...

რაც ყველაზე მთავარია, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას დიდხანს ვითხოვდი, როგორც დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში, ისე კახეთის სამხარეო სამმართველოში. ბოლოს რომ ვერაფერი გავაწყვე, საფინანსო პოლიციასაც მივმართე. თავდაპირველად დიდი იმედი მომცეს. დეტალები რომ გავაცანი, გამომძიებელი სულ გადაირია, ასეთი უსამართლობა როგორ შეიძლებოდაო. მაგრამ, ორი დღის შემდეგ ბოდიშის მოხდით პირდაპირ გამომიცხადა, ვეღარ დაგეხმარები და რატომ ვერა, ამას ვერ გეტყვიო!

აუცილებლად ვიბრძოლებ სიმართლის საპოვნელად და სამართლიანობის აღსასრულებლად. ამ საქმეს არავის ვაპატიებ და ალბათ საფრანგეთშიც შევიტან საჩივარს სასამართლოში.

დიდი მოკითხვა მინდა შემოვუთვალო დედოფლისწყაროელებს და გაძლება გისურვოთ. დადექით ერთმანეთის გვერდით, ღმერთივით კაცი გამოჩნდა ქართველებისთვის — ბიძინა ივანიშვილის სახით და ნურაფრის ნუღარ შეგეშინდებათ. დამიჯერეთ, მე სულით და გულით თქვენთან ვარ.

***– საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რა გეგმები გაქვთ და როდის გეგმავთ დედოფლისწყაროში დაბრუნებას?***

– ორ კვირაში ჩემი შვილი ჩამოვა დედოფლისწყაროში, მეც მალე ვაპირებ დაბრუნებას. თუმცა, მინდა ისე ჩამოვიდე, რომ სტრასბურგიდან ამ საქმეზე გარკვეული მხარდაჭერა მქონდეს. სავარაუდოდ, ახალ წლამდე საქართველოში ვიქნები.

***– ამბობთ, რომ ბანკმა თქვენგან მილიონნახევარი ლარი ზედმეტად წაიღო?***

– პროკურატურტის გამოძიებული საქმე და დადგენილება ხელთ მაქვს, სადაც ჩანს რომ ბანკის ვალი, თავისი პროცენტებისა და ჯარიმების ჩათვლით, გადახდილი მაქვს. გამოდის, რომ, ბანკს 1 500 000 ლარით მეტი თანხა აქვს წაღებული.

***– როგორც ვიცი, სამართლიანობის თვის საბრძოლველად და თუნდაც ღვინის ქარხნის გადასარჩენად ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომა ვერ იგრძენით... რა მიზეზით მოხდა, რომ ადგილობრივები თქვენს სიმართლეში ვერ დაარწმუნეთ, რათა გვერდით დაგდგომოდნენ და ერთად გებრძოლათ?***

– მართალი ხართ. თავის დროზე სამთაწყაროსა და ფიროსმანის მევენახეებს არაერთხელ ვთხოვე, თქვენი ღვინო ბანკს გააქვს, მხარში დამიდექით-მეთქი, ასე მპასუხობდნენ გვეშინია, დაგვიჭერენ, ხმას ვერ ამოვიღებთო.

ამდენი წლის განმავლობაში, ერთადერთმა მე შევინარჩუნე ქარხანა და რუსული ემბარგოს შემდეგ, როცა ჩემს ხალხს ყურძენი ვერსად გაჰქონდა და ვერ აბარებდა, მე მათ ანგარიში გავუწიე... ასევე ანგარიში გავუწიე მთავრობას და აღმოჩნდა, რომ საბოლოო ჯამში ყველაზე დაზარალებული მე აღმოვჩნდი... მთელი ჩემი ნამუშევარი და 45 წლის მონაგარი წამებში, ერთი ხელის მოსმით წამართვეს და სრულიად არაკანონიერად“.

გაზეთი „შირაქი“ ამ საკითხის მონიტორინგს კვლავაც გააგრძელებს, დეტალებს შეისწავლის და იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, სიახლეების შესახებ ინფორმაციას მკითხველს ეტაპობრივად მიაწვდის.

ILIA MARTKHOPLIDZVILI

# სოფელი ფიროსმანი ტყეკაფის არარსებობის გამო ზამთარს შეშის გარეშე ხვდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ფიროსმანი, რომელიც აჭარელი ეკომიგრანტებითაა დასახლებული, ყოველი ზამთრის მოახლოვებისას შეშით უზრუნველყოფის მწვავე პრობლემის წინაშე დგება. საზღვრისპირა სოფლისთვის ტყეკაფები მეზობელ რაიონებშია გამოყოფილი, საიდანაც შეშის მოტანა ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო ძვირი ჯდება. გასულ წლებში მოსახლეობა სათბობად ჭალის ტყეს იყენებდა.

„ამჟამად ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ზამთრისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საშეშე მასალის გარეშეა დარჩენილი. ჩვენს მიდამოებში არის ჭალის ტყეები რომლიდანაც ზე-ხმელი და ფიჩხის ტიპის რესურსი გამოგვქონდა. წელს ეს რესურსიც ამოიწურა“ — აცხადებენ ფიროსმანელები.

ფიროსმანის მიდამოებში ჭალის ტყე, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, დეგრადირებული ეკოსისტემა ფუნქციებს კარგავს და ალაზანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ტბორავს. მთლიანად განადგურებულია 130 ჰექტარი სახნავი, რაც მოსახლეობისთვის ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა. 2006 წლის შემდეგ ტერიტორია ყოველწლიურად, ხან წელიწადში ორჯერაც იტბორება. ამიტომ ხალხმა მიწას თავი მიანება, აღარც გადასახადებს იხდის და ოჯახზე საურავებიანად 5—7 ათასი ლარის დავალიანებები დაგროვდა.

KAKHA SUKHITASHVILI, ***ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივა, კახეთი:*** „მიწები მდინარის დაცვით ზოლშია გაცემული. საქართველოს კანონი წყლის შესახებ ამ კატეგორიის მიწების გასხვისების შესაძლებლობას იძლევა — საქმიანობაზე მკაცრი კონტროლით. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან მიწების ჩამონერის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით, ლოგიკური იქნება. ჯერ ერთი, სახელმწიფოს მიერ გაცემულ სახნავს ეკონომიკური ღირებულება არ გააჩნია. მწვავედ დგას სოციალური საკითხიც, რადგან საქმე განსაკუთრებით მონყვლად ჯგუფს — ეკომიგრანტებს ეხება. და მესამე: ფიროსმანი, საბათლო და სამთაწყარო სასაზღვრო სოფლებია და მათი შენარჩუნება მნიშვნელოვანია უსაფრთხოების კუთხითაც, რადგან პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, ეს სოფლები დაცლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. თუმცა, ამ ეტაპზე ყველაზე სასიცოცხლო მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფაა“.

კახეთის ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივამ 9—11 ნოემბერს ფიროსმანში CENN-თან, გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და ბუნებრივი რესურსების მართვის სააგენტოსთან ერთად მოაწყო ექსპედიცია, რომლის მიზანიც ადგილობრივი მოსახლეობის 2012-2013 წლების ზამთრის სეზონზე საშეშე მასალით უზრუნველყოფის საკითხის შესწავლა და არსებული პრაქტიკის ანალიზი იყო. ექსპედიციამ ალაზნისპირა ტყეების საკმაოდ ვრცელი პერიმეტრი მოიცვა. ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან. შედეგად, მომზადდება ანგარიშები სატყეო, გეოლოგიური, სამართლებრივი და სოციალური კუთხით, შემუშავდება რეკომენდაციები და დაიწყება დიალოგი ხელისუფლებასთან პრობლემის მოკლე და გრძელვადიანი გადაჭრისთვის.

ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივა ავსტრიის განვითარების საგენტოს ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს 7 რეგიონში ხორციელდება. ინიციატივის მიზანია, წვლილი შეიტანოს საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმირებაში ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდისა და საკითხზე ორიენტირებული დიალოგის განვითარების გზით.

ILIA MARTKHOPLIDZVILI

# წარმატებული საპილოტე პროექტი და განახლებული წყაროები

უკვე მრავალი წელია, ქალაქ დედოფლისწყაროს ზემოთა უბნის (ნიკორციხის, ცხრა ძმის, რუსთაველის, შირაქის ბარათაშვილის და სხვა) მცხოვრებლები, რომლებიც, სარგებლობდნენ ელიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქის ნახირისთვის გამოყოფილი საძოვრით, ითხოვდნენ საძოვრის ტერიტორიაზე არსებული ნიკორციხის წყაროზე, სათავიდან მომავალი დაზიანებული მილის და წყალმომარაგების აღდგენას. მათ სამი წლის წინ თხოვნით მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებისთვის, მაგრამ პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდა. ამას ისიც დაემატა, რომ ნიკორციხის სათავე ნაგებობა შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ ბალანსზე აღმოჩნდა და მასზე შესასრულებელი სამუშაოებისთვის ამ ორგანიზაციის თანხმობა იყო საჭირო.

რამდენიმე თვის წინ მოსახლეობამ კვლავ მიმართა დახმარებისთვის ადგილობრივ ხელისუფლებას. ამჯერად, გაუმართლათ.

მოგეხსენებათ, რომ კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან (REC, USAID) ერთად, უკვე მეოთხე წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ახორციელებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით პროექტებს. ერთ-ერთი ასეთი პროექტია„კლიმატის ცვლილების ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება”. სწორედ ამ პროექტის წყალობით მოხერხდა ქალაქის მოსახლეობისთვის მრავალწლიანი პრობლემის მოგვარება. პროექტი USAID-ის დაფინანსებით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, განახორციელა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ეროვნულმა კოორდინატორმა თამარ მთვარელიძემ, პროექტის ხელმძღვანელმა რეზო გეთიაშვილმა და ექსპერტმა სოსო სარჯველაძემ. საკონსულტაციო შეხვედრებს და პროექტის საქმიანობებს კი მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ანა ბენაშვილი უძღვებოდა.

საწყის ეტაპზე, პროექტის ფარგლებში, დედოფლისწყაროში არსებული პრობლემების განხილვის და შესაძლო პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობათა გამოვლენის მიზნით, ჩატარდა CENN-ის წარმომადგენლების შეხვედრა მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობასთან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, სადაც ისევ გაიჟღერა საქონლის დასაწყურებლების თემამ.

შეხვედრების შემდეგ, საპილოტე პროექტის ღირებულების ფარგლებში განსახორციელებელ საკითხად შეირჩა კერძო მოსახლეობის სარგებლობაში არსებული საძოვრების თემა და დაიგეგმა საპილოტე პროექტი„საერთო სარგებლობის საძოვრების მდგრადი მართვა“. სადემონსტრაციოდ არჩეულ იქნა ქალაქ დედოფლისწყაროს, ე.წ. ქოჩების ტერიტორიაზე არსებული საძოვარი. მოსახლეობასთან შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს დაემატებოდა საერთო სარგებლობის საძოვრის ტერიტორიაზე მდებარე საქონლის დასარწყურებელი წყაროს მილის რეაბილიტაცია. თუმცა გაირკვა, რომ ამორტიზირებული მილის შეცვლის გარდა, წყლის დებეტის გასაზრდელად საჭირო იყო ნიკორციხის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, სამუშაო შეხვედრებზეც სწორედ ამასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები იქცა განხილვის ძირითად თემად.

დისკუსიებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ: ელიზბარ იმერლიშვილი-შპს„საქართველოსგაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ დედოფლისწყაროს უბნის უფროსი, ანა ბენაშვილი-პროექტის კონსულტანტი, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, რეზო გეთიაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, CENN-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ჯემალ ყოჩიაშვილი - ქალაქის მოსახლეობის და ბიძინა პოპიაშვილი-კონტრაქტორი სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები.შეხვედრების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ყველას გაერკვია ბუნდოვანი საკითხები და კონკრეტულად ჩამოყალიბებულიყვნენ საჭირო თანხებსა და საქმიანობებზე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყო შესასრულებელი სამუშაოების ტექნიკით (ტრაქტორი) და სპეციალისტებით უფასო მომსახურეობა. გადაწყდა ამ წყაროს და დაზიანებული 200 მეტრიანი მილის რეაბილიტაცია, ასევე მეორე-„ქოჩების“ წყაროს სათავის 900 მეტრიანი წყალსადენის, წყაროს და ნავის რეაბილიტაციაც.

პროექტის ექსპერტმა იოსებ სარჯველაძემ, თავის კოლეგასთან ჯემალ ჯინჭარაძესთან ერთად, საცდელ ნაკვეთზე 5 ტექნოლოგიით ჩაატარა პროცედურული საქმიანობები, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები: თორღვა ცისკარაული, გიორგი ქადაგიძე, გელა ქოქიაშვილი და ნიკა ჭინჭარაული. მოხდა, ასევე, აზოტოვანი სასუქის შეტანა 25 ჰა საძოვარზე და საძოვრის ტერიტორიაზე არსებული საქონლის დასარწყურებელი წყაროების აღდგენა.

* * *

27 ივლისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ჩატარდა საპრეზენტაციო შეხვედრა, სადაც ხელი მოეწერა სამმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც CENN უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევა-ანალიზს, საძოვრის მართვის გეგმის მომზადებას, მოსახლეობის კონსულტაცია-ტრენინგს, წყაროებისა და საქონლის დასაწყურებლების რეაბილიტაციას, პროექტის უზრუნველყოფას საჭირო მასალებით და მუშა ხელით, საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებების ჩატარებას; ადგილობრივი ხელისუფლება (საკრებულო) იღებს ვალდებულებას, წყაროებისა და საქონლის დასაწყურებელი ადგილების რეაბილიტაციის პროექტის შესაბამისი ტექნიკით და სპეციალისტებით უზრუნველყოფაზე; სამუშაოზე ზედამხედველობის განახორციელებაზე და საერთო საძოვრების მართვისა და მონიტორინგის კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელებაზე; შპს„საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ დედოფლისწყაროს უბანი ოფიციალურად იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მის ბალანსზე არსებული და ინიციატივის ფარგლებში აღდგენილი წყაროებისა და დასაწყურებელი ადგილების შემდგომი მოვლა და უფასო ხელმისაწვდომობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. განხორციელებული პროექტის შედეგად ნიკორციხის და „ქოჩების“ წყაროებზე ისევ მოვიდა წყალი.

22 ნოემბერს დედოფლისწყაროში, „Mersy corp”-ის ოფისში პროექტის ეროვნულმა კოორდინატორმა თამარ მთვარელიძემ და საკვებმოპოვების ექსპერტმა, პროფესორმა იოსებ სარჯველაძემ ქალაქის მოსახლეობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებზე, საძოვრების აღდგენა-განახლების საშუალებებსა და ტექნოლოგიებზე. ბოლოს, ბატონმა იოსებმა მოსახლეობას სახელმძღვანელოდ დაურიგა„სათიბ-საძოვრების მოვლის გზამკვლევი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის“, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დამატებით გადასცა ნაშრომი „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკვები სავარგულები და მათი გაუმჯობესების ღონისძიებები“.

# რას გვეტყვი მამაო?!

**რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანს ცოდვად ჩაეთვალოს პირჯვრის გადაწერა?**

პირჯვრის გადაწერა ცოდვად შეიძლება ჩაეთვალოს ადამიანს, თუ პირჯვრის გამოსახვის დამოწმებით იგი ცდილობს, დაგვიდასტუროს სიცრუე, ფლიდობა, ყალთაბანდობა და სხვა არაწმინდა საქმე. ამით ის საკუთარ თავზე მსჯავრს მოიწევს.

**ცოდვაა თუ არა ფისუნიას ყოლა ოთახში, სადაც ხატებია, თუკი ბინა ერთოთახიანია?**

თუკი კატას ხატებთან შეხება არა აქვს, ფისუნიას სახლში ყოფნა დასაშვებია.

**მყავს ორი დაქორწინებული ვაჟი. ერთ-ერთი, რომელიც ჩემთან ცხოვრობს, მატერიალურად უზრუნველყოფილია, მეორეს უჭირს. როდესაც გვაქვს კარგი საჭმელი და უხვად, მე ჩუმად მიმაქვს ნაწილი მეორესთან. მეთვლება თუ არა ეს ცოდვად?**

შვილისადმი ზრუნვა დედას არ შეიძლება ჩაეთვალოს ცოდვად, თუ მას სხვა შვილთან ურთიერთობაში დაძაბულობა არ მოჰყვება. ამიტომ თქვენი შემდგომი ქმედება, სჯობს, ნებართვით მოხდეს.

**ცოდვაა თუ არა გაჯიუტებული ბავშვის დატუქსვა და ცემა, თუ სხვა საშუალებებით იგი არ გვემორჩილება?**

ბავშვის დასჯა შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ არაფრით არ შეიძლება სახის არეში ფიზიკური შეხება. დასჯა არ უნდა ხდებოდეს მშობლის სუბიექტური გაღიზიანების მიზეზით და სამართლიანი უნდა იყოს.

**ვიცით, რომ ყველა ლოცვა იკითხება ფეხზე დგომით: მაშ, რატომ არის აღნიშნული ზოგიერთ ლოცვაზე: „დაუჯდომელი"?**

არ არის მართალი, რომ ყველა ლოცვა იკითხება ფეხზე დგომით. მაგალითად დამჯდარმა შეიძლება წაიკითხოთ „ფსალმუნები".

**ჩემს ცოდვებს შორის ზოგი ისეთიც ურევია, რომ მოძღვრისთვის მათი თქმა მეუხერხულება, რათა მეტისმეტად არ შევრცხვე. მირჩევნია, ეს ცოდვები გარეშე, სულ უცხო მღვდელს გავუმხილო, რომელსაც სხვა დროს არასოდეს ვნახავ. ხომ არაფერს დავაშავებ ჩემი საქციელით?**

ვინც თავისი მოძღვრისგან სხვა მღვდელმსახურთან მიდის საკუთარი ცოდვების დასაფარავად და მალულად მოსანანიებლად, იგი თვით სინანულისა და აღსარების საიდუმლოს შეურაცხყოფს. ჩვენ აღსარებას ვეუბნებით ღმერთს და არა მღვდელს. არსებობს ცრუ სირცხვილი, რომელიც წინ ეღობება ადამიანის გულახდილობას. ამიტომ ჩვენ თავს უნდა ვუთხრათ, რომ მივდივართ არა ადამიანის წინაშე ცოდვების საღიარებლად, არამედ უფლის წინაშე. რადგან მოძღვარი ის ადამიანია, ვინც ჩვენს სწორ რელიგიურ ცხოვრებას წარმართავს. მას უნდა ვუთხრათ ყოველივე დაუფარავად, რათა სწორი მკურნალობა მივიღოთ მისგან. სწორედ ის ცოდვები, რომლებიც ჩვენ სასირცხვილოდ მიგვაჩნია, შეიძლება აღმოჩნდეს ამ მკურნალობის უმთავრესი ორიენტირი.

**ძალიან ცუდად ვარ. თავს ვერ ვპატრონობ. ბავშვი დავიფიცე სიგარეტს თავს რომ დავანებებდი. რამოდენიმე თვე ასეც იყო მაგრამ მერე ისევ ნერვიულობის ნიადაგზე დავიწყე. ვიცი, საშინელი ცოდვა ჩავიდინე. ხომ არ დავისჯები ამისათვის უფლისგან რა ვქნა. როგორ გამოცასწორო ეს ჩემი დანაშაული. (მოძღვარი არ მყავს).**

დაიწყეთ ეკლესიური ცხოვრება.

**რა ვნება მოაქვს მშობლების ბრმა სიყვარულს შვილების მიმართ?**

ბევრ მშობელს, შვილის სიყვარულით დაბრმავებულს, ენანება იგი დანაშაულის ჩადენისათვის დასასჯელად, ინდობს, მაგრამ შემდგომში, როდესაც შვილები იზრდებიან და გამოუსწორებელი ხდებიან, თავად აღიარებს საკუთარ შეცდომას. ამას გარდა, ბავშვებს გადაჭრით უნდა აეკრძალოთ ურთიერთობა და მეგობრობა ავი ზნის თანატოლებთან, რადგან უკეთურება თვით კეთილგონიერებაზეც კი ახდენს გავლენას; მშობლებიც უნდა გაფრთხილდნენ, რათა მათგან ბავშვებს საცდური არ მიეწოდოთ რაიმეთი.

**შეცდომა, რომელიც დავუშვი, მოვინანიე უკვე მამაოსთან, მაგრამ საშინლად მაწუხებს დანაშაულის გრძნობა, რომ არცერთმა ჩემმა ახლობელმა და ოჯახის წევრმა ამის შესახებ არაფერი იცის. ჩემგან ვერ წარმოიდგენენ ასეთ რამეს. მაგრამ უშეცდომო ხომ არავინაა ამქვეყნად. არ ვიცი რა გავაკეთო, ყოველდღე ვფიქრობ ჩემს შეცდომაზე. იქნებ მირჩიოთ რამე.**

აღსარებაში ნათქვამი ცოდვა არ მოგეკითხებათ ღვთის სამსჯავროზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას მეხსიერებიდან წაშლით. თუ ეს ცოდვა კვლავ გაწუხებთ, ეს არც ისე ცუდია, რადგან სინანულის გრძნობა განმწმენდელია, მაგრამ ეს არ უნდა გექცეთ სასოწარკვეთილებად. თქვენი ნუგეში აღსარება და ღვთის კაცთმოყვარეაა.

**მყავს ერთადერთი ვაჟიშვილი. უკვე 40 წლის შესრულდა და არ ქორწინდება. აქვს უმაღლესი განათლება, არსად არ მუშაობს და არც ფიქრობს მუშაობის დაწყებას. დროს ქეიფსა და ღვინის სმაში ატარებს. მასზე მშობლებისა და ახლობლების დარიგება არ ჭრის. რას გვეტყვი, მამაო?**

უდიდესი ძალა აქვს დედის ლოცვას. საკმარისია, თქვენ დაიწყოთ ეკლესიური ცხოვრება - ლოცვით, მარხვით, აღსარებით, ზიარებით, რომ თქვენს ლოცვას ცხოველი ძალა მიენიჭება და უთუოდ იგრძნობთ ღვთის შეწევნას.

**როდესაც მაბრაზებენ, ხშირად თავშეუკავებლობას ვიჩენ ხოლმე. ხომ არ მირჩევთ თავის დაოკების საშუალებას?**

ვიდრე სიტყვას იტყოდეთ ან რაიმეს ჩაიდენდეთ, გაჩერდით ხუთი წუთი და თქვით გულში იესოს ლოცვა.

# წმინდა პლატონი

წმინდა პლატონი — მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი, ხსენების დღე არის ძველი სტილით 18 ნოემბერი, ახალი სტილით - 1 დეკემბერი. იგი წმინდა მოწამის, ანტიოქე მკურნალის (ხს. 29 ივლისს) ძმა, დაიბადა გალატიის ანკვირიაში, კეთილმსახური მშობლების ოჯახში. მან სიყმაწვილეშივე დატოვა მშობლიური სახლი და მოციქულებრივი ღვაწლი იტვირთა: ნეტარი ქალაქ-ქალაქ დადიოდა, სულიწმიდის მადლით აღვსილი, ქადაგებდა სახარების სწავლებას წარმართთა შორის და მსმენელებს აოცებდა დამაჯერებელი მჭევრმეტყველებითა და ელინურ მწიგნობრობაში ღრმა განსწავლულობით. ამისთვის იგი შეიპყრეს და ზევსის ტაძარში მიიყვანეს, მმართველ აგრიპინას სამსჯავროზე. მსაჯული თავდაპირველად ეცადა, ლიქნით დაეყოლიებინა წმინდანი ქრისტეს უარყოფაზე - არწმუნებდა, თუ წარმართულ ღმერთებს სცემ თაყვანს, სიბრძნით თვით დიდ ფილოსოფოს პლატონს გაუტოლდებიო. ამაზე წმინდა პლატონმა უპასუხა, ფილოსოფოსის სიბრძნე დიდია, მაგრამ წარმავალი და შეზღუდული; ჭეშმარიტ, მარადიულ და უსაზღვრო სიბრძნეს კი მხოლოდ სახარებისეული სწავლება შეიცავსო. მსაჯულმა წმინდანს მაცხოვრის უარყოფის ფასად თავისი მომხიბლავი ასული შესთავაზა ცოლად, ურჩობის შემთხვევაში კი წამებითა და სიკვდლით დაემუქრა. ნეტარმა პლატონმა მიუგო, წარმავალ სიკვდილს ვირჩევო საუკუნო სიცოცხლისთვის. აღმსარებლის კადნიერებით განრისხებულმა მმართველმა ბრძანა, ჯერ დაუნდობლად ეგვემათ წმინდანი, შემდეგ კი საპყრობილეში ჩაეგდოთ. ციხის კარებთან უამრავმა ხალხმა მოეყარა თავი. მათ შორის იყვნენ მართლმორწმუნეებიც, რომელთაც უფლის რჩეულმა ხმამაღლა მიმართა:

„იცოდეთ, ძმებო, მე რაიმე დანაშაულისთვის კი არ ვიტანჯები, არამედ მთელი სამყაროს შემოქმედი ჭეშმარიტი ღმერთის აღსარებისთვის. გევედრებით, ქრისტიანებო, ნუ შეგაძრწუნებთ ჩემი წამება; „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი, და ყოვლისაგან იხსნეს იგინი უფალმან"; მტკიცედ ვსდგეთ სარწმუნოების შეურყეველ კლდეზე და ღვთისმოსაობისთვის ტანჯვა ნუ შეგვაშინებს, რადგან ამ წარმავალი ჟამის ვნებანი ვერ შეედრება ჩვენთვის განმზადებულ დიდებას"."

ერთი კვირის შემდეგ წმინდა პლატონი კვლავ აგრიპინას სამსჯავროზე მიიყვანეს ზევსის ტაძარში, სადაც უკვე განმზადებული იყო წამების იარაღები: მდუღარე ქვაბები, გახურებული რკინის სარეცელი, ბასრი კავები. წმინდანს შესთავაზეს, ან მსხვერპლი შეეწირა კერპისთვის, ან ამ იარაღების მოქმედება საკუთარ თავზე გამოეცადა. ნეტარმა მარტვილმა ამჯერადაც მტკიცე უარი განაცხადა მათი მოთხოვნის შესრულებაზე. მაშინ მას კვლავ სატანჯველები დაატეხეს თავს, შემდეგ კი საკანში ჩააგდეს და თვრამეტი დღე უჭმელ-უსმელი ამყოფეს. როცა უსჯულოებმა იხილეს, რომ ამგვარადაც ვერ მოდრეკდნენ წმიდანის ნებას, მას მზაკვრული წინადადება წაუყენეს - სიცოცხლე და თავისუფლება აღუთქვეს, თუ წარმოთქვამდა: „დიდ არს უფალი აპოლონი". „სიტყვითაც არ მსურს შევცოდო", - უპასუხა მხნე აღმსარებელმა. მტარვალის ბრძანებით ნეტარ პლატონს თავი მოჰკვეთეს.

## გამოსათხოვარი

# ილიკო შარვაძე

ჩვენო მოულოდნელო და თავზარდამცემო ტკივილო, ჩვენო ილიკო, მართლაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ამბავი შენი გარდაცვალების შესახებ. ნავახშმევს ეზოში მეზობლებთან მოსაუბრე უცებ დავარდი და... გათავდი კიდეც. ვაი დედაო, ისიც კი ვერ მოასწარი რომ გეთქვა. თავის ტვინში სისხლი ჩაგექცა და გულიც იმწამსვე გაჩერდა. შეწყდა შენი შფოთიანი და მჩქეფარე ცხოვრება, გაჩერდა შენი სიყვარულით და სიკეთით სავსე გული 38 წლის ასაკში. უნუგეშოდ დატოვე ღრმადმოხუცი, ლოგინსმიჯაჭვული ბებია, რომელმაც თბილისელი ბიჭი დედოფლისწყაროში, ევდოშვილის ქუჩაზე გამოგზარდა, გაგათამამა და გაგალაღა, გაანადგურე დედა, რომელსაც ერთადერთ სანთლად ენთე და წაართვი დედის ფუნქცია, მძიმე უღელი დაადე შენს საყვარელ მეუღლეს და ორი შვილი შეატოვე გასაზრდელად. არადა, ცხოვრების ამ მოკლე გზაზე რამდენი სიხარული, სიამოვნება და ტკივილი შეგხვდა. უზრუნველი იყო შენი ბავშვობა, წარჩინებულ მოსწავლეს და ანსამბლ „მერანის" საუკეთესო სოლისტ-მოცეკვავეს მთელი მსოფლიო გქონდა მოვლილი, დღესაც ახსოვხარ შენს საყვარელ თბილისის №166 სკოლას, ამიტომ გაკლავდნენ თავს შენი კლასელები და მეგობრები. 20 წლისას, უნივერსიტეტ „იბერიას" იურდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს, თავზარი დაგცა ახალგაზრდა მამის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. აირია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება და აირია შენი ობლობით გამწარებული ცხოვრებაც. ბედის საძიებლად საზღვარგარეთ წასულს არ გაგიმართლა, ესეც ბედია, ბედი კი არა, შენი უბედობა! აქედან დაიწყო ის ეკონომიკური აღმა-დაღმა სვლა, რომელმაც შენს ჯანმრთელობას დიდი უარყოფითი დაღი დაასვა და... შეგიწირა კიდეც. შემა სიკვდილმა საშინელი ტკივილი მიაყენა შენს ოჯახს, ახლობლებს, დიდ სამეგობროს და სამეზობლოს, მათ შორის დედოფლისწყაროშიც. ამიტომ გაგაცილა საბოლოო გზაზე უამრავმა ხალხმა ცრემლით და ტკივილით ვაშლოვანის სასაფლაოზე, სადაც მამის გვერდით დაიდე სამუდამო ბინა. დიდუბელობით ამაყობდი, რადგან იქ, წერეთლის პროსპექტის 63-ე ნომერში გაატარე ლაღი ბავშვობა, იქ დავაუკაცდი, მაგრამ ბედის უკულმართობით სხვის კარზე სულდალეულს, გული არ დაგწყვიტეს მეგობრებმა და შენი „არკის" თაღებში კიდევ ერთხელ და საბოლოოდ შეგიყვანეს, შენს საფარბაზოსთან მაღლა აგწიეს და დაგახედეს მზე, რომელიც შენთვის სამუდამოდ ჩაესვენა. ნათელში იყავ, ილიკო, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, შენი სიცოცხლე შენს ნიასა და შენს მოსახელე და ასლში გადაღებულ პატარა ილიკოში გაგრძელდება, რითაც შენს სახელს დავიწყება არ უწერია. არ მოგაკლდება დედის ხელით დანთებული წმინდა სანთელი და გაქვავებული გულიდან ამოსული ლოცვა შენი სულისათვის.

შენი ოჯახი

დედა ნათელა იაკობიშვილი, მეუღლე თამუნა წივწივაძე, შვილები: ნია, ილია შარვაძეები; დედისძმა ნოდარი, ბიცოლა მანანა მელიქიძე, ბიძაშვილები: ხათუნა, ელენე იაკობიშვილები, მამიდები: მერი, ლუიზა შარვაძეები; მამიდაშვილები: გიული, მირზა, ზაალი, ლალი; ბიძაშვილი ირმა შარვაძე; პაპა ზურაბი, ბებიები: ელიკო, ცირა, მარო, სიდედრი მანანა, სიმამრი ლევან მუჯირიშვილი, ცოლისძმები: გიორგი, კოტე ოჯახებით იუწყებიან

ილიკო შარვაძის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 25 ნოემბერს, ქალაქ თბილისში.

## მადლიერება

რამდენიმე წლის წინ თონეში ჩავვარდი და ხელები საშინლად დამეწვა. ამ შემთხვევის შემდეგ გამუდმებით მტკიოდა ხელები, განსაკუთრებულ ტკივილს ღამით ვგრძნობდი, ხელებს ვერ ვხრიდი, მიდუნდებოდა, მიბუჟდებოდა და მტკიოდა, სულ შინაური მეთოდებით ვმკურნალობდი, თუმცა უშედეგოდ. ჩემი ტკივილებით არამარტო ოჯახის წევრები, არამედ მეგობრებიც იყვნენ შეწუხებულნი. ბოლოს ჩემს მეგობარს და ექიმს მარინე ქორიძეს მივმართე. მას ახალი ლაზერული აპარატურა აქვს და ამ მეთოდით მკურნალობს. აღმოჩნდა, რომ კანქვეშ ნაწიბურები მქონია დარჩენილი და ის მაწუხებდა. მისმა მკურნალობამ მეორე სეანსზევე საოცარი შვება და შედეგი მომცა, ძალიან კმაყოფილი ვარ, ხელებზე ისეთი შვება მაქვს, რომ ჩემი შვილიც ვერ ფარავს სიხარულს. გაწეული სამედიცინო დახმარებისთვის და თბილი მიღებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ექიმ მარინე ქორიძეს. მადლობა უფალს და ქალბატონ მარინეს, რომ მისი ძალისხმევით ჩვენი რაიონის მოსახლეობას ძვირადღირებული აპარატურის ფუფუნება აქვს.

პატივისცემით
ცირა ხარაშვილი

მეუღლე მანანა შანშაშვილ-აზნიაშვილი, დედა ნუნუ, დები: ეთერი, თამრიკო; შვილები: შალვა, ირაკლი აზნიაშვილები; სიდედრი თინა, სიდედრის და დარეჯანი, ცოლის ბიძაშვილები: ილიკო, დიმა, მაია გონაშვილები იუწყებიან

ილია აზნიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 23 ნოემბერს თელავის რაიონის სოფელ კისისხევში.

# ჯეკპოტი დედოფლისწყაროელმა ქალბატონმა მოიგო

# ითამაშეთ ლოტო, რა იცით, რა ხდება!

ჯაფარიძელი მარინა გარსენიშვილი გარეგნულად იმდენად მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანია, ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ის საკმაოდ აზარტული და მიზანმიმართულია. სოწრედ ამ თვისებამ მოუტანა მას ის მატერიალური სიკეთე, რომელზეც დღეს მთელი საქართველო ლაპარაკობს და დანატრის კიდეც: – მან ლატარიაში 809 809 ლარი მოიგო.

- ლატარიას დიდი ხანია რაც ვთამაშობ, ჯერ კიდევ საოჯახო ლოტოდან დაწყებული, იშვიათი გათამაშება იქნებოდა, მე ბილეთი რომ არ მქონოდა. ბევრი არასოდეს მიყიდია, ვყიდულობდი შეძლებისდაგვარად, რამოდენიმეს. ჯიუტად მჯეროდა, რომ ერთხელაც გამიმართლებდა. ოჯახშიც მედავებოდნენ, კარგი, დაანებე თავი, ხომ ხედავ, ვერ იგებ, ტყუილად ხარჯავ ფულსაც და ნერვებსაც ძაბავო, ჩვენ ვინ მოგვაგებინებს, ჩვენ მაგის ბედი ვინ მოგვცაო. არ იჯერებდნენ, რომ აქ „ჩაწყობა“ არ მოდიოდა. მეზობლები მაქილიკებდნენ, აბა, რა ჰქენი, რამდენი მოიგეო?!

**- ახლა რას გეუბნებიან?**

- ყველას ჩემზე მეტად უხარია მგონი, მე ძალიან კარგად შემიძლია ჩემი ემოციების მართვა, ამიტომ სიხარულით არ ავცუნდრუკებულვარ. ლატარიის გათამაშების ღამეს სახლში მარტო ვიყავი, თავს ცოტა შეუძლოდ ვგრძნობდი, დაღლილიც ვიყავ, წამოვწექი და ისე ვუყურებდი ტელევიზორს, სწორედ იმ მომენტში, ძილბურანში წასულს, მეგონა, რომ ეს ყველაფერი სიზმარში ვნახე. მეორე დღეს ჯიხურში გადავამოწმე და დავრწმუნდი, რომ ღმერთმა ეს დიდი სიკეთე მართლა გამოიმეტა ჩემთვის, ამდენმა მცდელობამ და მოლოდინმა გამიმართლა: იმ დღეებში უმცროსი პატარძლის მშობიარობას ველოდებოდით, საკეისრო ჰქონდა დანიშნული და მთელი ოჯახის ყურადღება იმაზე იყო გადასული. ამიტომ არავისთვის არაფერი მითქვამს, ლოტოს ოფისში დავრეკე და ვუთხარი, რომ ფიზიკურად ვერ შევძლებდი მისვლას. ამიტომ აცხადებდნენ ჯეკპოტი გათამაშდაო, მაგრამ ვინ მოიგო, არ ამბობდნენ, ჯერ ბილეთი ოფიციალურად არ წარმედგინა. ყველაფერი კარგად დამთავრდა, გოგონა შეგვეძინა, მარიამი დავარქვით, მოვიდა გოგო და დახვდა მზითევი. მართალია, ძალიან მშრომელი ოჯახი გვაქვს და საჭმელ—საცმელი არ გვენატრება, მეც ჯერ 55 წლის ვარ და არ მაქვს პენსია, არც ჩემს მეუღლეს აქვს პენსია, ბიჭი კი მუშაობს, მაგრამ ხომ იცით, ახლა პატარის გაზრდას რამდენი რამ სჭირდება, ვნერვიულობდი, როგორ გავართმევთ თავს ეკონომიურად-მეთქი და მადლობა უფალს, ასე რომ მოეწყო ჩვენი მომავალი, ჩემი შვილების და შვილიშვილების მომავალი - მშვიდად გვესაუბრება მარინა.

მართლაც მშრომელი ხალხია მარინა და მისი მეუღე კაკო. მათ სამი ვაჟი გაზარდეს, ორი – საშუალო და უმცროსი, დააქორწინეს, უკვე სამი შვილიშვილიც ჰყავთ (იმედია, მატერიალური კეთილდღეობა ხელს შეუწყობს და მადლიერებას უფლის წინაშე მრავალი შვილის გაზრდით გამოხატავენ, რაც ყველაზე მეტად სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას). ოჯახის დიდ სიხარულს ერთი ტკივილი და ჩრდილი ახლავს მხოლოდ, უფროსი ვაჟი ასაკშია და ჯერაც დასაოჯახებელია. ჩემი სრულფასოვანი ბედნიერება და სიხარული უფროსი ვაჟის ქორწილში გამომჟღავნდებაო, ამბობს მარინა და უფალს ევედრება, კარგი ბედი და ღირსეული მეუღლე შეხვდეს უფროს ვაჟსაც, ისევე, როგორც ორი რძლით არის კმაყოფილი.

სწორედ ამ ჯიხურში შეიძინა ქალბატონმა მარინამ იღბლიანი ბილეთი

**- ახლა რა პროცესში ხართ, მიიღეთ თანხა?**

- არა, ჯერ არ გადმოურიცხავთ, ჯერ კიდევ რაღაც პროცედურებია გასავლელი. გამოძახებით კი გამომიძახეს, შეხვედრა მქონდა ყველა იმ ადამიანთან, ვინც ჯეკპოტი მოიგო. მათთან საუბრისას უფრო ღრმად დავრწმუნდი, რომ მათაც ჩემსავით ალალად მოიგეს. ბანერის დასამზადებლად ფოტოები გადამიღეს და ახლა მოლოდინის რეჟიმში ვართ. ერთხელ ჩამოვიდნენ კიდეც, თან მეცხრე არხი და „რუსთავი-2“ ახლდათ, მოგვილოცეს, სიუჟეტი გადაიღეს და ტელევიზიით იმ სიუჟეტის გასვლის შემდეგ ნახა მთელმა საქართველომ, რომ სოფლის ერთმა უბრალო ოჯახმა ამხელა თანხა მოიგო. თბილისში შეხვედრაზე რომ ვიყავი, ლოტოს ოფისის მენეჯერმა სულხან ლაცაბიძემ თქვა, გულწფელად მიხარია, რომ ყველა ჯეკპოტი მოიგი იმ პირმა, ვინც გაჭირვებული იყო და ამოისუნთქაო, ისე რომ, ეს ბედი და იღბალია, მე ვაგრძელებ თამაშს და სხვებსაც მოვუწოდებ, იყვნენ აზარტულები, ითამაშონ ლატარია და ერთხელაც ბედი მათ კარსაც მიადგება.

**- რას უპირებთ ამ ფულს?**

- მთელი ოჯახი მოვიყრით თავს, ვიმსჯელებთ, ჭკვიანი და მშრომელი ბიჭები არიან ჩვენი შვილები, მოვიფიქრებთ რამეს, ერთი კი ვიცი, რომ უყაირათოდ არ დახარჯავენ და არ გაანიავებენ, არ გაყოყოჩდებიან, მოძლიერდებიან, იშრომებენ და უზრუნველყოფილი მომავალი ექნებათ. გარკვეულ თანხას, მადლიერების ნიშნად, ეკლესიას შევწირავთ.

21 წელი იმუშავა მარინე გარსენიშვილმა დაწყებითი სკოლის პედაგოგად, თავის სამ შვილთან ერთად მრავალი თაობა გამოზარდა და ყველას ალალი შრომის პატიოსნების და ურთიერთსიყვარულის გზას ასწავლიდა. ეკლესიური ვერა ვარ, მაგრამ ღმერთი მიყვარს და მეშინია მისი, ამიტომ ვცდილობ, არაფერი გავაკეთო ცუდი და არ განვარისხო ის,

- ამბობს მარინა და მის გულწრფელობაში ეჭვი არ შეგეპარება, ისეთი ალალი სახე აქვს.

მარინე გარსენიშვილის მოგებით, ეკონომიკური სარგებელი ნახა ქალაქ დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე (მუსუიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე) მდებარე საგაზეთო ჯიხურის გამყიდველმა მაყვალა მანგოშვილმაც, მარინამ ბილეთი სწორედ მის ჯიხურში შეიძინა და მას მოგებული თანხიდან პროცენტის სახით 12 ათასი ლარი ერგება. სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი მყავს, ჩვენთვის ეს თანხა დიდი სიკეთეა. მადლობა ღმერთს და მადლობა მარინას, რომ ბილეთი სწორედ ჩემთან შეიძინაო - ამბობს ის.

**- ამ მოგების შემედეგ როგორი მოთხოვნაა თქვენს ჯიხურში ლატარიის ბილეთებზე?**

- საგრძნობლად მოიმატა. ნეტა ბევრი ვინმე მოიგებდეს და ამოისუნთქებდეს. ახლა ხალხის დიდ უმრავლესობას ხომ ძალიან უჭირს ეკონომიურად, სამსახური და სამუშაო აღარ არის და...

***გაზეთის რედაქცია იზიარებს ამ ორი ოჯახის სიხარულს, ულოცავს მათ სოლიდურ მოგებას და ბედნიერ მომავალს უსურვებს მათ.***

ნაირა გორაშვილი

## ულოცავენ!

**ეკა კოტაშვილს!**

**გიორგი ლაცაბიძეს!**

ჩემო საყვარელო ნათლულო ეკა, ჩემო გიორგი, გილოცავთ ოჯახის შექმნას. სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სიხარული და ბედნიერება დაგანათლოთ უფალმა, გამრავლდით და თეთრად შეაბერდით ერთმანეთს. ნათლიმირონის მადლი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

სიცოცხლის ბოლომდე გაგყვეთ საგზლად დღევანდელი სიყვარული და მსუბუქად გეტარებინოთ ოჯახის უღელი.

გკოცნით,
თქვენი ნათლია ნიაზი ჯანაშვილი.

## იყიდება

ფერმა მსხვილფეხა საქონლისა და ღორეგისათვის სოფელ ჯაფარიძის ბოლოს (ტბის გადაღმა). შენობა აგურისაა, დათბუნებული, დოლფარეგით, საკვებურებით და საწყურეგლით გაწყობილი, საზაფხულო სადგომით, უხეში საკვების შესანახი სათავსოთი, წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. აქვს სამოთახიანი კაპიტალური საცხოვრებელი ბინა და 3 ჰექტარი საძოვარი მიმდებარე ტერიტორიაზე. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ ტელეფონებზე:
599 12 14 15; 599 50 53 57.

## თავისუფალი ჭიდაობა

ქალაქ თბილისში ჩატარდა ოლიმპიური ჩემპიონის ლერი ხაბელოვის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. როგორც დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, ტურნირი ძალზე საინტერესო აღმოჩნდა, საიდანაც დედოფლისწყაროელი მოჭიდავეები გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში მამუკა არაბულმა. მესამე ადგილზე კი გავიდნენ: 59 კილოგრამ კატეგორიაში გელა ქოქიაშვილი და 63 კილოგრამში ირაკლი მენთეშაშვილი.

გუნდი მოამზადა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა დავით გონაშვილმა

## ფეხბურთი

2001-2002 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა წარმატება

ქალაქ თელავში ხელოვნურსაფარიან მოედანზე ტარდება რეგიონალური პირველობა ფესტივალი ფეხბურთში 2001-2002 წლებში დაბადებულთა ნაკრებ გუნდებს შორის, სადაც წარმატებით თამაშობენ ნორჩი „შირაქელები“.

პირველ თამაშში 3:1 მოუგეს საგარეჯოს „გარეჯს“, ფრედ დამთავრეს შეხვედრა ყვარლის „დურუჯთან“, ასევე გამარჯვებით დაასრულეს მატჩები გურჯაანის „ალაზანთან“ და ახმეტის „ბახტრიონთან“. მოგება იზეიმეს ამხანაგურ შეხვედრაშიც სიღნაღის „ცისკართან“. „შირაქელები“ 10 ქულით ლიდერობენ. გუნდის შემადგენლობაში არიან: ნიკა გლახოშვილი(მეკარე), მცველები: მიშიკო ჯანყარაშვილი, ლუკა ქისტაური, დანი თედეევი, დეითი შახბაზიანი; ნახევარმცველები და თავდამსხმელები: თორნიკე ოზბეთელაშვილი, ნიკა ლეკაშვილი, ნიკა სეხნიაშვილი, ნიკა ბენაშვილი, გიორგი გურაშვილი, ზურაბ ხეტეშვილი და გიორგი თეზელაშვილი.

გუნდს ავარჯიშებს მწვრთნელი კაკო მაჩაბლიშვილი.

ნორჩი „შირაქელები“ 12 დეკემბრისთვის დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან, რათა 12 დეკემბერს დაგეგმილ გივი ჩოხელის სახელობის თასის გათამაშებაშიც თავისი ღირსეული სიტყვა თქვან და პრიზებიც მოიპოვონ.

## სპორტი

## ამინდი

## დედოფლისწყარო

| შაბათი 01. 12 | | კვირა 02. 12 | | ორშაბათი 03. 12 | | სამშაბათი 04. 12 | | ოთხშაბათი 05. 12 | | ხუთშაბათი 06. 12 | | პარასკევი 07. 12 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 12 ° | 5 ° | 12 ° | 7 ° | 6 ° | 5 ° | 7 ° | 7 ° | 8 ° | 6 ° | 5 ° | 4 ° | 4 ° | 3 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K